სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი 12 ივლისი , 2016 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა (შემდგომში „პალატა"), წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის ნინო ჩიქოვანის სახით, ხოლო მეორეს მხრივ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში „სააგენტო"), წარმოდგენილი სააგენტოს თავმჯდომარის - ლევან რაზმაძის სახით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და წინამდებარე მემორანდუმით თანხმდებიან შემდეგზე:

I. პალატა

1. მონაწილეობას მიიღებს ორივე მხარისათვის აქტუალურ საკითხებზე, ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ბიზნეს-კონფერენციების, სიმპოზიუმების, ფორუმების ორგანიზებაში, ასევე სხვა სასწავლო ხასიათის (მათ შორის საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო), ბიზნესის შესაძლებლობების განვითარებაზე მიმართული პროექტების განხორციელებაში.
2. პალატის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლები, პალატის მიერ მოწვეული ექსპერტები, ტრენერ-ექსპერტები და დარგის სპეციალისტები ჩაერთვებიან ერთობლივ ღონისძიებებსა და აქტივობებში. მათ შორის, გამართავენ მიზნობრივ შეხვედრებს გამოცდილების გაზიარების მიზნით.
3. ბიზნეს სექტორის, მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის მიზნით განახორციელებენ ერთობლივ პროექტებსა და აქტივობებს.
4. პალატა ჩართული იქნება ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებთან თბილისსა თუ რეგიონებში დაგეგმილი შეხვედრების ორგანიზებასა და განხორციელებაში, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის სფეროში არსებული სირთულეების/პრობლემების, ბიზნესის საჭიროებების გამოვლენას და შესაბამისი აქტივობების განხორციელებას, ამ საჭიროებათა რეალიზების მიზნით. მათ შორის, უზრუნველყოფს კვლევის შედეგების ასახვას როგორც

ორგანიზაციულ/ ინსტიტუციურ და შესაძლებლობების განვითარებაზე მიმართულ ღონისძიებებში, ისე სასწავლო კურსებსა და პროგრამებში.

5. ხელს შეუწყობს სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზებას, როგორც ერთობლივი პროექტების განხორციელების, ისე საზოგადოებრივი აქტივობების ჩატარების გზით. ასევე, უზრუნველყოფს პარტნიორ ორგანიზაციებთან, სააგენტოს საქმიანობისა და სასწავლო პროექტების საპრეზენტაციო შეხვედრების ორგანიზებას.
6. აქტიურად ითანამშრომლებს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ბიზნესორგანიზაციების მონაცემების სრულყოფის მიმართულებით. ამასთან, უზრუნველყოფს, შესასაბისი საინფორმაციო ბაზების, კომპანიებთან დაკავშირებული ინფორმაციის ურთიერთგაცვლას, მოქმედი კანონმდებლობის (მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ) ფარგლებში.
7. ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, უზრუნველყოფს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის აკადემიის ჩართულობას, მისი რესურსებისა და სერვისების მიმართვას ერთობლივი პროექტების მაღალ დონეზე განხორციელების უზრუნველსაყოფად.
8. მემორანდუმის ფარგლებში, განახორციელებს სხვა ღონისძიებებს, თანამშრომლობის მიზნების მისაღწევად.

II. სააგენტო

9. მონაწილეობას მიიღებს, ორივე მხარისათვის აქტუალურ საკითხებზე ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ბიზნეს-კონფერენციების, სიმპოზიუმების, ფორუმების ორგანიზებაში. ასევე, სხვა სასწავლო ხასიათის (მათ შორის, საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო) ბიზნესის შესაძლებლობების განვითარებისკენ მიმართული პროექტების განხორციელებაში.
10. ხელს შეუწყობს პალატას, ბიზნეს-ორგანიზაციებისათვის მიზნობრივ საჭიროებათა კვლევის განხორციელების პროცესში.
11. პალატასთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს სპეციალური სასწავლო კურსების, სასწავლო პროგრამებისა და პროექტების, არსებული მოთხოვნების შესაბამისად, შემუშავებასა და განხორციელებას.
12. უზრუნველყოფს სხვადასხვა მიმართულებით სასერტიფიკაციო და ტრენინგ-პროგრამების ორგანიზებასა და განხორციელების პროცესებში სააგენტოს ექპერტების ჩართულობას.
13. პალატასთან და პალატის აკადემიასთან ერთად, გამართავს ინტენსიურ შეხვედრებს ბიზნეს- სექტორის წარმომადგენლებთან სხვადასხვა აქტუალური საკითხებისა და მათი პრობლემების გაცნობის მიზნით; ასევე, მიზნობრივ მასტერ-კლასებს, სამუშაო შეხვედრებსა და სხვა სახის აქტივობებს, სააგენტოს დარგის ექსპერტების მონაწილეობით, სადაც მეწარმეებს მისცემენ რეკომენდაციებს საკანონმდებლო და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან, სააგენტოს წარმომადგენლები ბიზნეს -

წარმომადგენლებს გააცნობენ დაგეგმილ თუ უკვე განხორციელებულ რეფორმებსა და სხვა სიახლეებს.

14. სააგენტო თბილისსა და რეგიონებში ჩართული იქნება ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებთან დაგეგმილი შეხვედრების ორგანიზებასა და განხორციელებაში, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესმენთა პრობლემების, საჭიროებების გამოვლენას და შესაბამისი აქტივობების განხორციელებას.
15. ხელს შეუწყობს პალატის საქმიანობის პოპულარიზებას, როგორც ერთობლივი პროექტების განხორცილების, ისე საზოგადოებრივი აქტივობების ჩატარების გზით; ასევე, უზრუნველყოფს პარტნიორ ორგანიზაციებთან, პალატის საქმიანობისა და სერვისების, პალატის აკადემიის სასწავლო პროექტებთან დაკავშირებით, საპრეზენტაციო შეხვედრების ორგანიზებას.
16. უზრუნველყოფს სააგენტოს სასწავლო ცენტრის ჩართულობას პალატისა და პალატის აკადემიის მიერ ორგანიზებულ პროექტებსა და ღონისძიებებში.
17. მემორანდუმის ფარგლებში, განახორციელებს სხვა ღონისძიებებს თანამშრომლობის მიზნების მისაღწევად.

III. მოქმედების ვადა და გაუქმება

18. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია, რომელიმე მხარის მოთხოვნით, მის გაუქმებამდე.
19. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ამ მემორანდუმის ყოველგვარი მიზეზის გარეშე გაუქმება მეორე მხარისთვის 30 (ოცდაათი) დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების მიწოდების საფუძველზე და კონკრეტული მიზეზით გაუქმება მეორე მხარისათვის 15 (თთხმეტი) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების მიწოდების საფუძველზე.
20. მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეებმა (მათი შესაძლებლობების ფარგლებში) უნდა განახორციელონ ყველა შესაბამისი და აუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში უკვე დაწყებული პროექტების დასასრულებლად.

IV. დამატებითი დებულებები

21. ნებისმიერი შეტყობინება, მოთხოვნა და თანხმობა, რომელიც მოთხოვნილია ან ნებადართულია გაიცეს ამ მემორანდუმის შესაბამისად, უნდა გაიცეს

წერილობითი ფორმით და გაიგზავნოს ელექტრონული, მხარეთა მიერ წინამდებარე მემორანდუმში მითითებულ რეკვიზიტებზე.

22. მხარეები ადასტურებენ, რომ არ ყოფილა არანაირი პირდაპირი თუ არაპირდაპირი სარგებელი შეთავაზებული მეორე მხარისათვის, ამ მემორანდუმთან დაკავშირებით.
23. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ დებულების ნებისმიერი დარღვევა მემორანდუმის არსებითი პირობების დარღვევაა.
24. მხარე, რომელსაც ფორსმაჟორული გარემოებების გამო, ხელი შეეშლება თავისი ვალდებულებების შესრულებაში, არ უნდა იქნას განხილული ამგვარი ვალდებულებების დამრღვევად. ხსენებულმა მხარემ ყველა ღონე უნდა იხმაროს ფორსმაჟორულ გარემოებათა შედეგების შესამსუბუქებლად. ამავე დროს, მხარეებმა ერთმანეთთან უნდა აწარმოონ საკონსულტაციო მოლაპარაკებები, ამ მემორანდუმის შემდგომი განხორციელების შესაძლებლობებზე.

V. მხარეთა რეკვიზიტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

მისამართი: რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. 8, 0113, თბილისი, საქართველო

ტელ: (995) 32 224 22 48 (14, 17)

ვებ-გვერდი: www.spa.ge

ელ-ფოსტა: info@procurement.gov.ge

სავაჭრო-სამრეწველო პალატა

მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზირი 150, 0112 თბილისი, საქართველო.

ტელ: (995) 32 269 47 47

ვებ-გვერდი: www.gcci.ge

ელ-ფოსტა: public@gcci.ge

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სახელით:

ლევან რაზმაძე
სააგენტოს თავმჯდომარე

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის სახელით:

ნინო ჩიქოვანი
პალატის პრეზიდენტი